



აღმოსავლეთ ევროპაში აგრობი-კვების სპეციალისტებისთვის ლაბორატორიული
პრაქტიკის გაუმჯობესება/Ag-Lab, 2017 – 2020.

<http://ag-lab.isle.eummena.org/>
<https://www.facebook.com/AgLabProject/>

პროექტის შესახებ

„ERASMUS+“-ის 2017 წლის საგრანტო კონკურსში *„უმადლესი განათლება - საერთაშორისო რესურსების გაძლიერება“* გამარჯვებული პროექტის - **"აღმოსავლეთ ევროპაში აგრობი-კვების სპეციალისტებისთვის ლაბორატორიული პრაქტიკის გაუმჯობესება/Ag-Lab"** - „Improving skills in laboratory practice for agro-food specialists in eastern Europe /Ag-Lab/“ (# 586383-EPP-1-2017-1-SI-EPPKA2-CBHE-JP) 2017-2978 / 001-001) განხორციელება 2017 წლის 14 ნოემბრიდან დაიწყო. ინსტიტუციური თანამშრომლობის (CBHE) პროექტის ხანგრძლივობაა 3 წელი.

პროექტის პარტნიორები: პროექტის კოორდინატორია **ლუბლიანას უნივერსიტეტი (სლოვენია)**. პროექტში ჩართულია იტალიის, საფრანგეთის, სლოვენის, პოლონეთის, ბულგარეთის, უკრაინის, მოლდოვეთისა და საქართველოს უნივერსიტეტები, კვლევითი ცენტრები და არასამთავრობო ორგანიზაციები. **საქართველოს მხრიდან** პროექტში ჩართულები არიან **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია.**

პროექტის მიზნები და ამოცანები

პროექტის უპირველესი მიზანია აგრარული და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის სისტემის გაუმჯობესება იმ ქვეყნების სპეციალისტების მომზადება/გადამზადების გზით, რომლებიც ახლახანს გახდნენ ევროკავშირის ასოცირებული წევრები. პროექტი უკავშირდება ასოცირების ხელშეკრულების იმ ნაწილს, რომელიც გულისხმობს სურსათისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფას ევროკავშირის კანონმდებლობითა და სტანდარტებით განსაზღვრული ნორმების შესაბამისი ლაბორატორიული კონტროლის გზით. ამავე დროს, პროექტი ითვალისწინებს სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით სასწავლო კურსებისა და მოდულების განახლებას, თითოეული უნივერსიტეტის ინტერესებიდან და მოთხოვნიდან გამომდინარე. ასევე დაგეგმილია უწყვეტი განათლების მიმართულებით დიპლომის შემდგომი სასერტიფიკაციო კურსის შემუშავება. უნივერსიტეტებისა და ლაბორატორიების თანამშრომლობის ახალი პრაქტიკის შემუშავება პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა: პროექტის ფარგლებში შეიქმნება პლატფორმა, რომელიც, ერთის მხრივ, დაეხმარება უნივერსიტეტებს მოახდინონ სასწავლო პროგრამების ადაპტირება შრომის ბაზრის საჭიროებებთან და მეორეს მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში მოქმედ სადიაგნოსტიკო და ტესტირების ლაბორატორიებს კადრების გადამზადებაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლი პროექტში:

პროექტში თსუ-ის როლი უკავშირდება პროექტის საერთო მიზნებსა და პრიორიტეტებს. თსუ სრულად გამოიყენებს უნივერსიტეტის აკადემიურ, ლაბორატორიულ და ადმინისტრაციულ რესურსებს, რათა განახორციელოს პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა. თსუ აქტიურად მონაწილეობს პროექტის ადმინისტრირებასა და კოორდინირებაში და ორიენტირებულია დაგეგმილი მიზნებისა და ამოცანების წარმატებით განხორციელებაზე პროექტით განსაზღვრული გრაფიკისა და ვადების შესაბამისად. თსუ ჩართულია სასწავლო მოდულების/კურსების შემუშავებაში არამარტო კვების პროდუქტებისა და აგრარული მიმართულებით, არამედ ჯანდაცვის და გარემოს დაცვის ბიოტექნოლოგიების მიმართულებით.

თსუ-ს ამოცანები

- ბიოლოგიის დეპარტამენტში მიმდინარე „გამოყენებითი ბიომეცნიერებების“ სამაგისტრო პროგრამის განახლებისა და გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია მოქმედ კურიკულუმში ცვლილებების განხორციელება ლაბორატორიული კურსების/მოდულების შემოტანის გზით;
- ასევე დაგეგმილია უწყვეტი განათლების მიმართულებით დიპლომის შემდგომი **სასერტიფიკაციო კურსის შემუშავება სადიაგნოსტიკო და ტესტირების ლაბორატორიების პერსონალისათვის;**
- განხორციელდება აკადემიური პერსონალის გადამზადება ტრენინგებში მონაწილეობის გზით, განახლდება ლაბორატორიული და საბიბლიოთეკო სასწავლო რესურსები (მათ შორის ელექტრონული და on-line რესურსები) და შემუშავდება სწავლების სტრატეგია პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ლაბორატორიებთან თანამშრომლობის გზით;
- დაგეგმილია სტუდენტების საერთაშორისო მობილობის განხორციელება პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ლაბორატორიებთან და კვლევით ინსტიტუტებთან;
- თსუ აქტიურად მიიღებს მონაწილეობას პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში და პროექტის ფარგლებში შემუშავებული მასალებისა და პროექტით მიღწეული შედეგების დისემინაციაში.

მოსალოდნელი შედეგები:

- განახლებული აკადემიური პროგრამები და კურსები, სასწავლო რესურსები;
- საჭირო კომპეტენციების მქონე პერსონალი ლაბორატორიებისათვის - როგორც არსებული, ისე მომავალი კადრები (სტუდენტები);
- გადამზადებული აკადემიური პერსონალი;
- ერთიანი სასწავლო პლატფორმა კოოპერირებული სწავლების განხორციელებისათვის უნივერსიტეტებისა და ლაბორატორიების პერსონალის მონაწილეობით.

Ag-Lab პროექტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს 2007-2013 წწ. ბიოლოგიის დეპარტამენტში ევროკავშირის მხარდაჭერით შექმნილ და წარმატებით მიმდინარე გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის სასწავლო პროგრამებში ლაბორატორიული კომპონენტების სრულყოფასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლების გაძლიერებას.